პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
სამშაბათი
27
მაისი
№ 123
(16249)
წელი
2 კან.
1975

КОММУНИСТ—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საინფორმაციო ცნობა

სოფლის მეურნეობის საკითხებზე საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირის შესახებ

26 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი: სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა და „1975 წელს მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების ამოცანები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მწრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, საქართველოს აღკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოთა უფროსები, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“, სახალხო კონტროლის კომიტეტების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოების, გადამმუშავებელი მრეწველობის პასუხისმგებელი მუშაკები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სპეციალისტები, მეცნიერები.

თათბირის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **პ. გ. გილაშვილი, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი, ო. ე. ჩერქეზია,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ბ. გელდიაშვილი.**

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ჯ. ი. პატიაშვილმა.**

განსახილველ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. დ. ჯავახიშვილმა.**

კამათში მონაწილეობდნენ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. მ. ხინთბა,** პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. რ. პაპუნიძე,** პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **ი. ვ. გაბარაევი,** ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვ. ა. კოჩოიანი,** პარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი **გ. დ. მგელაძე,** პარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი **გ. ა. ძულიაშვილი,** პარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი **ა. ვ. ბარისაშვილი,** გაგრის სანაშენე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ვ. რ. ძნელაძე,** ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ქ. პ. გოგიბერიძე,** საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი **რ. ხ. კონცელიძე,** ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ე. ა. დუკმასოვი,** მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი **მ. ბ. ღვინჯილია,** პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი **ვ. ი. ქარუმიძე.**

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ.** (საქინფორმი).

ამ რისხვან შედგება ეს 120 მილიონი



მეცხრე ხუთწლედის ყველა წლის მანძილზე რომ გამოვუშვათ გეგმის გადამეტებით 120 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია — ამისათვის წელს, ხუთწლედის დამამთავრებელ წელს გეგმის დამატებით უნდა დავამზადოთ:

16,5 ათასი ტონა მარცვლეული;

10 ათასი ტონა ბოსტნეული;

16 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი;

25 ათასი ტონა ყურძენი;

15 ათასი ტონა ხილი;

65 ათასი ტონა ციტრუსები;

25 ათასი ტონა ჩაი;

15 ათასი ტონა ხორცი;

20 ათასი ტონა რძე და ბევრი სხვა

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

როგორც ეს გუშინ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირის ტრიბუნიდან აღინიშნა, საჭიროა, ეს ციფრი — 120 მილიონი — გულში ჩასწვდეს სოფლის თვითეულ მუშაკს, რომ იგი ახსოვდეს სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს, ისევე, როგორც ჩვენი მრეწველობის მუშაკებს მუდამ ახსოვთ ის, რომ ისინი მოვალენი არიან გამოუშვან ხუთწლედის დამამთავრებელ წელს 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

„სოიუზ-18“: ფრენა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 24 მაისი. (საკდესი). 21 საათისათვის მოსკოვის დროით „სოიუზ-18“ კოსმოსურმა ხომალდმა ორჯერ შემოუფრინა დედამიწას.

ტრაექტორიის გაზომვათა მონაცემებით, „სოიუზ-18“ ხომალდის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 247 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 193 კილომეტრი;

— მიმოქცევის პერიოდი — 88,6 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

კავშირგაბმულობის მორიგი სეანსის დროს ხომალდის მეთაურმა პ. ი. კლიმუკმა დედამიწაზე გადმოსცა, რომ კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

25 მაისის ღამის 3 საათსა და 20 წუთიდან დილის 10 საათსა და 30 წუთამდე „სოიუზ-18“ კოსმოსური ხომალდი იქნება საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონის გარეთ. ამ დროს კოსმონავტები პ. ი. კლიმუკი და ვ. ი. სევასტიანოვი დასვენებენ.

ფრენის მართვის ცენტრი, 25 მაისი. (საკდესი). 25 მაისის 15 საათისათვის მოსკოვის დროით „სოიუზ-18“ კოსმოსურმა ხომალდმა 14-ჯერ შემოუფრინა დედამიწას.

მოძრაობის ტრაექტორიის კორექციის შემდეგ, რომელიც წუხელ განხორციელდა, „სოიუზ-18“ ხომალდის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 384 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 322 კილომეტრი;

— მიმოქცევის პერიოდი — 91,3 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

დღეს „სოიუზ-18“ ხომალდში სამუშაო დღე 13 საათზე დაიწყო. რადიოკავშირის მორიგი სეანსის დროს ხომალდის მეთაურმა პ. ი. კლიმუკმა მართვის ცენტრს მოახსენა, ეკიპაჟი დასაბული პროგრამით მუშაობსო.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით და კოსმონავტების მოხსენებებით ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ამხანაგები კლიმუკი და სევასტიანოვი თავს კარგად გრძნობენ. „სოიუზ-18“ კოსმოსური ხომალდის ფრენა გრძელდება.

„სალიუტ-4“: ესტაფეტა გრძელდება

„სოიუზ-18“ ხომალდის ეკიპაჟი „სალიუტ-4“ სამეცნიერო სადგურის ბორტზე

1975 წლის 26 მაისს მეორე ეკიპაჟი კოსმონავტების პ. ი. კლიმუკისა და ვ. ი. სევასტიანოვის შემადგენლობით გადავიდა „სალიუტ-4“ სადგურის ბორტზე, რომელიც 9 თებერვლიდან ავტომატური რეჟიმით მოქმედებს..

კოსმოსური ანპარატების მიახლოება, მიდგომა და შეპირაპირება თავდაპირველად მართვის ავტომატური სისტემის საშუალებით წარმოებდა, ხოლო შემდეგ, 100 მეტრი მანძილიდან, ამ ოპერაციას ხელით ახორციელებდა ეკიპაჟი. შეპირაპირებისა და „სალიუტ-4“ სადგურის ბორტის სისტემების შემოწმების შემდეგ კოსმონავტები გადავიდნენ ნაკვეთურებში და შეუდგნენ დასახული პროგრამის შესრულებას. რომელიც ითვალისწინებს სადგურზე მისი პირველი ეკიპაჟის მიერ დაწყებული კვლევისა და ექსპერიმენტების განგრძობას. მოეწყობა: მზის, პლანეტებისა და ვარსკვლავების შესწავლა ელექტრომაგნიტური გამოხივების სპექტრის სხვადასხვა დიაპაზონით, დედამიწის ზედაპირის გეოლოგიურ-მორფოლოგიური ობიექტების. მის ატმოსფეროს და კოსმოსურ სივრცეში მიმდინარე ფიზიკური პროცესების გამოკვლევა. სამეცნიერო-ბიოლოგიური გამოკვლევები. ეგრეთვე სადგურის კონსტრუქციის, ბორტის სისტემებისა და აპარატურის გამოცდა.

კოსმონავტებმა ამხანაგებმა კლიმუკმა და სევასტიანოვმა ფრენის ცენტრს მოახსენეს, სადგური ყველა სისტემა ნორმალურად მოქმედებს და ჩვენ თავს კარგად ვგრძნობთ.

დეპუტატობის კანდიდატები

მეფრინველეობა — მსოლოდ რენტაბელური

ივ კრეპაზე, რომელზეც მერი მდივანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს, ბევრი კარგი ითქვა, ბევრი გულთბილი სიტყვა მეუძღვნეს წარმოების ნიჭიერ ორგანიზატორს.

ახლახან მოსკოვიდან მოვიდა ცნობა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დაჯილდოების შესახებ, რამაც კიდევ უფრო აამაღლა მშრომელთა აქტივობა და პირადად თაბრიკის დირექტორის მერი მდივნის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. გადაწყვეტე უფრო ახლოს გაეცნო ფაბრიკის საქმიანობას.

მერი მდივნის თაბრიკაში მისულისთანავე კოლექტივმა იგრძნო დირექტორის ახალი ხელი, მოყვითობა, შრომისმოყვარეობა, კოლეგიალობა...

მაინც რა ქნა ამ ქალმა ამ მოკლე დროის განმავლობაში, უკბრიკა რომ ფეხზე წამოაყენა, მუშებს რწმენა რომ დაუბრუნა.

მისულისთანავე აჩვენეს იმ წლის პირველი კვარტალის დანაკლისი 631 ათასი მანეთი და კიდევ უფრო მეტი გასულ საგეგმო წელს; თუმცა ყოველი ათასი ცალი კვერცხის წარმოება 66 მანეთის ნაცვლად 83 მანეთი უჯდებოდათ, ხოლო ყოველი ცენტნერი ხორცის წარმოება ნაცვლად 187 მანეთისა 287 მანეთი.

დირექტორმა შეკრიბა სპეციალისტები, წინასწარ ესაუბრა პარტიული კომიტეტის მდივანს და კოლექტივისაგან მოითხოვა დაეწყოთ მუშაობა ისე როგორც დღევანდელობა მოითხოვდა. ისიც თქვა, რომ არ დაინდობდა მუქთახორებს, წამგლეჯებს, ქორდებს, ყველას, ვინც არცხვენს საზოგადოებას, კოლექტივს.

პირველ რიგში წესრიგი დამყარდა ფაბრიკის დირექციის მმართველობაში.

ფაბრიკაში შექმნილმა ახალმა მდგომარეობამ არა მარტო ფაბრიკის წარმოების საქმე, არამედ ადამიანთა შეგნებაც შეცვალა. ყველა მუშა თვის ადგილზე აღმოჩნდა, იგრძნობოდა პირადი პასუხისმგებლობა და ამან განაპირობა პროდუქციის ხარისხის ამაღლება.

წინათ მეფრინველეებს შექმნილი არ ჰქონდათ ის ელემენტარული პირობები, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე საწარმოში. ფაბრიკა თბილისიდან სამაო მანძილით არის დაშორებული.

მეფრინველეებმა იგრძნეს ხელმძღვანელის ზრუნვა. საქმემ კარგი შედეგი გამოიღო, პირველ წელს არათუ გეგმა შეასრულეს, არამედ საწელმწიფოს გეგმის გადამეტებით 43 ათასი მანეთი მოგება მისცეს.

ფაბრიკის ხელმძღვანელს ეს არ აკმაყოფილებს. ყოველთვის ახლის ძიებაშია ჯერ კიდევ მაშინ, როცა ზოოტექნიკური ფაკულტეტი დაამთავრა, შორეულ რაიონში წავიდა სამუშაოდ და ფერმაში ბრიგადირობა ითავა. იქ თვი გამოიჩინა და რამდენიმე ხნის შემდეგ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში მეფრინველეობის მთავარ სპეციალისტად დაწინაურეს. მან შეიყვარა თავისი სპეციალობა, სულით და გულით მეფრინველი ვახდა და სწორედ ამიტომ იყო, მას ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკა რომ ჩააბარეს.

პირველ რიგში იგი შეუდგა ფრინველის სადგომი ადგილების მოწყობას. ეს მოითხოვდა საფრინველეების გადაკეთებას, რაც ადვილი როდი იყო. თეულათასობით ფრთა ფრინველს სადგომები შეუცვალა და გადაკეთა კიდევ ისე, როგორც შეეფერებოდა დღევანდელ მოთხოვნებს. გამოჩნდა ახალი ტიპის საფრინველეები, რომლებშიც საუკეთესო პირობები შეუქმნეს კვერცხმდებელ ქათმებს, ამან, რასაკვირველია, ხელი შეუწყო პროდუქციის ზრდას.

1974 წელს ნორიოელმა მეფრინველეებმა სახელმწიფოს მისცეს 15.287 ათასი ცალი კვერცხი, ნაცვლად 12 მილიონ 600 ათასისა, 125 პროცენტით შესრულდა სარეალიზაციო გეგმა, 7 პროცენტით აიწია მუშის საშუალო გამომუშავებამ. ერთ კვერცხმდებელ ქათამზე მიღებულ 209 ცალი კვერცხი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 170 ცალისა.

წარმატებით შესრულდა ფაბრიკაში მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა. ასევე დიდი გადაჭარბებით შესრულდა აპრილის გეგმაც.

ეს უკვე იმის საფუძველია, რომ ფაბრიკაში წარმატებით დაგვირგვინდება IX ხუთწლედის დამამთავრებელი წელი.

ასე მუშაობენ ნორიოელი მეფრინველეები დეპუტატობის კანდიდატის მერი მდივნის ხელმძღვანელობით.

ვალ. მექვაბიშვილი,
სოფელი ნორიო, გარდაბნის რაიონი.

* * *

ხუროთმოძღვრ: მერი მდივანი.

გულითადი მისალმება

ავღანეთის დამოუკიდებლობის დღის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ავღანეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და სრულუფლებიანი მინისტრის, ავღანეთის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ავღანეთის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის, ავღანეთის რევოლუციური საბჭოს, ავღანეთის სამინისტროთა საბჭოს, ავღანეთის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

უმაღლეს სასწავლებლებში — ყველაზე ღირსეულნი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ცხოვრებაში პასუხსაგები კამპანიის—სტუდენტთა და მოსწავლეთა ახალი კონტინგენტის მიღების მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების საკითხებს. თათბირში მონაწილეობდნენ უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, სსრკავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა გ. ჯიბლაძემ.

თათბირზე გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი დ. ჩხაიძეშვილი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ძიძიგური, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი ვ. მესხი, ჭუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი პროფესორი ნ. ვალიშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი, პროფესორი გ. თოთიბაძე, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ო. ბაკურაძე, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ვ. მამათელაშვილი, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პროორექტორი რ. კერესელიძე, რესპუბლიკის განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ.

გამოსვლებში აღინიშნა, რომ უმაღლესი სასწავლებლების, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, სსრკავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა გ. ჯიბლაძემ.

თათბირზე გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი დ. ჩხაიძეშვილი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ძიძიგური, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი ვ. მესხი, ჭუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი პროფესორი ნ. ვალიშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი, პროფესორი გ. თოთიბაძე, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ო. ბაკურაძე, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ვ. მამათელაშვილი, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პროორექტორი რ. კერესელიძე, რესპუბლიკის განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ.

გამოსვლებში აღინიშნა, რომ უმაღლესი სასწავლებლების, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, სსრკავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა გ. ჯიბლაძემ.

ამასთან, აღინიშნა გამოსვლებში, ჯერჯერობით არაგვიანი საფუძველი არა გვაქვს დავჯერდეთ მიღწეულს. არსებითად მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადადგა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დგას უპირველესი მნიშვნელობის ამოცანა — განვამტკიცოთ მიღწეული, გადავაქციოთ იგი ნორმად, წავიდეთ კიდევ უფრო წინ ყველაზე ღირსეულთა შერჩევაში სრული წესრიგის დამყარების გზით, აღმოვფხვრათ მიღების წესების უმცირესი დარღვევის შემთხვევები.

შარანდეული მისაღები გამოცდების შედეგები მოწმობს, რომ ბევრი უმაღლესი სასწავლებლის საგამოცდო კომისიათა მუშაობა შაინც იყო შეცდომები. მისაღებ კომისიათა ზოგიერთი წევრი, ზოგჯერ კი რექტორებიც, ცუდად იცნობდნენ ინსტრუქციებს. ამის შედეგად იყო დასანანი შეცდომები, აბიტურიენტთა არაობიექტური შერჩევის შემთხვევები.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ყოველნაირად უნდა გავაძლიერთ ყურადღება და მომთხოვნელობა მიმღები კომისიების მუშაობისადმი. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მუშაობის ეს დიდმნიშვნელოვანი უბანი. ეს მით უფრო საჭიროა, რომ, სამწუხაროდ, ცალკეული პირები ჯერ კიდევ ცდილობენ გამონახონ პროტექციი, დაეხმარონ თავიანთ შვილებსა თუ ნაცნობებს „უკანა კარიდან“ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრაში. სწორედ აქ უნდა თქვას თავისი სიტყვა ფართო საზოგადოებრიობამ, პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა შეუნელებელი კონტროლი უნდა გაუწიონ ამ საქმეს.

თათბირის მონაწილეებმა ილაპარაკეს აბიტურიენტებთან მუშაობის ფორმებზე, თქვეს, რომ საჭიროა მაქსიმალურად გამოავლინონ მათი ცოდნა და ობიექტურად შეაფასონ მათი პასუხები და წერითი ნამუშევრები, რათა მოღიანად აღმოიფხვრას ყოველგვარი დარღვევის შესაძლებლობა.

თათბირზე აღინიშნა, რომ შარშან თვითეულმა უმაღლესმა სასწავლებელმა ჩამოაყალიბა მიღებისათვის მუშაობის გარკვეული სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მთლიანად ქვეყანაში მიღების დამტკიცებულ და მოქმედ წესებზე. ამიტომ საჭირო არ არის მათი შეცვლა. მაგრამ, აღინიშნეს ორატორებმა, როგორი მოფერხებელიც უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში მიღების სისტემა, იგი ნაკლებად ეფექტიანი იქნება, თუ სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივში არ შეიქმნება დიდი პარტიული პრინციპულობის ატმოსფერო, რომელიც სავსებით აღმოფხვრის მიღების წესებიდან ყოველგვარ, თუნდაც უმნიშვნელო გადახვევას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მისაღები გამოცდების მოსაწყობად გამომცდელთა შერჩევის საკითხს, ახლანდელი მიღების დევიზია — არ იყოს არც ერთი რეპეტიტორი საგამოცდო კომისიებში, არცერთი სახელგატეხილი პედაგოგი.

ისევე, როგორც შარშან, წლეულსაც პარტიული ორგანიზაციები, აგრეთვე ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი უმკაცრეს კონტროლს დაუწესებენ საგამოცდო კომისიათა ყველა წევრს. ყველა, ვინც ეცდება სწორად არ შეაფასოს აბიტურიენტის ცოდნა, მკაცრად დაისჯება.

ისევე როგორც შარშან, ამჯერადაც გულდასმით განიხილავენ აბიტურიენტთა პრეტენზიებს, მაგრამ საქმე ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ აბიტურიენტს გამომცდელისათვის პრეტენზიის წაყენების ერავითარი საფუძველი არ ჰქონდეს.

კარგ ტრადიციად იქცა მისაღები გამოცდების დროს ფართო საჯაროობა. რაც უფრო ნაკლები საიდუმლო გვექნება მისაღებ გამოცდებზე, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა, მით ნაკლებ საბაბს მივცემთ ძალადმთვრმისათვის. ფართო საჯაროობის ვითარებაში ვამოცდების ჩატარება საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამცროთ აბიტურიენტთა და მათი მშობლების პრეტენზიები და საჩივრები.

ამავე დროს, აღინიშნა თათბირზე, ჯერ კიდევ არის აბიტურიენტთა საფუძველს მოკლებული პრეტენზიები. ხშირად ისინი საჩივრებს წერენ „ყოველი შემთხვევისათვის“, თუმცა მშვენივრად იციან, რომ მათი ცოდნა არ იმსახურებს მეტ შეფასებას.

უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელებმა, საგამოცდო კომისიების წევრებმა და, უწინარეს ყოვლისა, თვით გამომცდელებმა, რომლებიც ებრძვიან ობიექტურობისათვის, ამკვიდრებენ წესებს, როცა დაუშვებელია რაიმე დათმობა ან შეღავათი ცალკეული აბიტურიენტებისათვის, ითქვა თათბირზე, ყველაფერი უნდა იღონონ, რათა შექმნან აბიტურიენტებისადმი კეთილმოსურნეობის ატმოსფერო. უმაღლეს სასწავლებლებში ამ მხრივ ბევრი ფიქრია, ბევრ ადგილზე ეს ფიქრი ფიქრად ყოფილა

„კავკაზი“ კოსმოსურ სივრცეში

რეპორტაჟი ბაიკონურის კოსმოდრომიდან

სასტუმრო „კოსმონავტიდან“ მომავალ ერთ-ერთ ნუნჯანში ჟურნალისტებმა „სოიუზ-18“ ხომალდის მეთაური პეტრე ილიას-ძე კლიმუკი და ვიტალი სევასტიანოვი სტარტის წინ საკმაოდ მიწიერი საქმიანობით გართული ნახეს. ისინი მსჯელობდნენ, თუ როგორ აჯობებდა წყლის მიწოდება პარკში ნეიტრალ ფესვთა სისტემისათვის. ქალაქი, სადაც ცხოვრობენ და შრომობენ ბაიკონურის კოსმოდრომის ბატონ-პატრონები, სამართლიანად ითვლება ყაზახეთის ველების ერთ-ერთ ყველაზე მწვანე რაიონად. მწვანე მორთულობას იგი თავისი იმ პირველი მცხოვრებლების საზრიანობასა და შეუპოვრობას უნდა უმადლოდეს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს მილებისა და არიკების განშტოებულ ქსელს. „აყვავებული ოაზისი გადახრუკულ უდაბნოში“ — ასე უწოდა კოსმოდრომს თომას სტაფორდმა, ხომალდ „აპოლონის“ პირველი ეკიპაჟის მეთაურმა, რომელიც აქ სტუმრად იყო წელიწადს აპრილში.

სტარტისწინა შეხვედრა ეკიპაჟთან.

როგორ გაატარეთ თქვენი პირველი სტარტიდან განვლილი დრო?

— მოსაწყენად არ გვეცალა, — თქვა პ. ი. კლიმუკმა, — ჯერ გამეშვებოდით და ვაანალიზებდით პირველი ფრენის შედეგებს, შემდეგ, თუ გახსოვთ, „სოიუზი“ ხომალდებით ჩემმა მეგობრებმა კოსმოსური ორბიტების ისეთი შტურმი დაიწყეს, რომ პრაქტიკულად ყოველ ორ-სამ თვეში ერთხელ ჩვენი მომზადების პროგრამაში ახალი თავების შეტანა დაგვჭირდა.

პირველი სტარტიდან ვ. ი. სევასტიანოვს ხუთი წელი აშორებს. ამ წლებში ხშირად ეხვდებოდით მას კოსმოდრომზე და მორთვის ცენტრში, როგორც გამოჩენილ ინჟინერს. ჟურნალისტები მისგან ყოველთვის იღებდნენ საგულისხმო ღიღეებს კოსმოსის ათვისების სხვადასხვა ასპექტის შესახებ, მათ შორის თეორიულიც, ყოველთვის მხიარულია, გულისხმიერი და გონებამახვილი. „ადამიანი, — ყველაზე დაბალი მარგი ქმედების კოეფიციენტის მქონე სისტემაა“, — ხუმრობით თქვა ვიტალი სევასტიანოვმა. მაგრამ მას ეს არ ეთქმის. ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხიც, პატივისცემაც კოსმონავტთა რაზმში ყოველდღიური შეუპოვარი შრომით მოიპოვა.

უკანასკნელი დარიგება სტარტის წინ — სახელმწიფო კომისიის სხდომა — ეს ყოველთვის საზეიმო და ლაკონიური აქტია. სპეციალისტები მოახსენებენ ხომალდისა და მისი სისტემების ფრენისთვის მზადყოფნას, მტკიცდება ხომალდის ეკიპაჟი, ნება ეძლევათ რაკეტა სტარტისათვის მოამზადონ. მაგრამ იმისათვის, რომ ეს კომანდა გაისმას, ასობით სპეციალისტი რამდენიმე კვირის განმავლობაში ამოწმებდა რაკეტისა და ხომალდის სიმტკიცესა და საიმედოობას, მთელი კომპლექსის ენერგეტიკულ მეურნეობას, მართვის სისტემებისა და ცხოველმოქმედების სისტემების მუშაობის სიზუსტეს. ეს ხდება ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში — ხუთსართულიანი სახლის სიმაღლის უზარმაზარ საამქროში. როცა აქ ექსკურსიაზე ვიყავით, მიმდინარეობდა უკანასკნელი მზადება რაკეტის გასაშვებად. უზარმაზარმა ხიდურმა ამწემ ხომალდის ქანჭათა კორპუსთან, რომელიც უკვე რაკეტასთან იყო შეერთებული, მიიტანა გარსმეფინის დიდი კონუსი. კორპუსზე ახლა მხოლოდ ორი-სამი წითელი ალმიდი დარჩა — ეს არის უკანასკნელი სამუშაოები გამოცდების რთულ კომპლექსში. ჯერ კიდევ გუშინ ასეთი ბეური იყო. ხომალდმა გაიარა „ცეცხლსა და წყალში“ ბაროკამერაში და ეგრეთ წოდებულ „უეჭოო საამქროში“, შემდეგ მრავალტონიან სივრცეში, გამოსცადეს ხომალდის მანევრირება, შემამოწმეს მართვის რთული მეურნეობა.

...24 მაისი. მცხუნვარე სამხრეთის მზე საცაა ჩაესვენება. ავტობუსი ეკიპაჟითურთ სტოვებს სასტუმროს და სტარტის ადგილისაკენ მიდის, ქალაქიდან გასვლისას ჩაუარეს ახალ მაჩვენებელს. მაჩვენებლის ერთ-ერთ ისარზე წარწერილია „ბაიკონური“, მეორეზე — „კანაველალი“.

როგორც ყოველთვის, დედამიწა ღელავს, როცა თავის შვილებს კოსმოსში აცილებს. იმათ შორის, ვინც მოედანზე შეიკრიბა გაშეებამდე ორი საათით ადრე, ბევრია კოსმოდრომის ვეტერანი, რომლებსაც დეტალურად ახსოვთ „პირველი ჩვენი ამირილი“, რომელიც 14 წლის წინათ კაცობრიობისათვის კოსმოსური ხანის დასაწყისი გახდა. უკანასკნელი ხელის ჩამორთმევა, და ორი თეთრსკაფანდრიანი წმენდის ზიდა მოედანზეა, რომლებიც მჭიდროდ შემოკვრიან რაკეტას. ორი წყვილი ხელი ერთმანეთს გადაჭდობია დედამიწასთან გამოთხოვების ნიშნად. კოსმონავტები ხომალდის ლუკაში შედიან. ახლა მათ ხმას ერთი საათის შემდეგ გავიგებთ „ბორტი-დედამიწის“ კავშირის ბაზით, და ისინი ჩვენთვის იქნებიან „კავკაზები“: „კავკაზ-1“ და „კავკაზ-2“ — ასეთია ეკიპაჟის მოხმობის ნიშნები.

ეს-ეს არის სამეთვალყურეო პუნქტზე, საიდანაც თვალს ვადევნებთ რაკეტის გაშვებას, მიღებულია ფრენის ხელმძღვანელის ა. ს. ელისეევის ტელეფონოგრამა მართვის ცენტრიდან: „მზად ვართ მივიღოთ „კავკაზები“ ორბიტაზე. ბედნიერ გზას ეუსურვებთ მათ!“.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენც ვუღლიცავთ გზას კოსმონავტებს. რაკეტამ თვალისმომჭრელად გაანათა არემარე და ცაში ავარა.

„სალუტ-4“ სადგურის მეორე ეკიპაჟი

კვირეული იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს საერთო სახლში“— ასეთი წარწერა დაინახეს პეტრე კლიმუკმა და ვიტალი სევასტიანოვმა თავიანთ „კოსმოსური ახალმოსახლეობის პირველ წუთს, როცა „სოიუზ-18“ ხომალდიდან გადავიდნენ „სალუტ-4“ სადგურში. ამ მისალმებას ხელს აწერენ ამ სახლის პირველი პატრონები ალექსი გუბარევი და გიორგი გრეჩკო, რომლებმაც 9 თვეზე-ვალს დატოვეს სადგური კოსმოსში ერთი თვის მუშაობის შემდეგ. „ჩვენ სალუტნი ვართ“ — გადმოსცეს წუხელ ეკიპაჟის წევრებმა, მოხდა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა — ეკიპაჟის შეცვლა ორბიტულ სამეცნიერო სადგურზე— მეორე ექსპედიციის მისვლა ორბიტაზე გასულ კოსმოსურ ნავსაყუდელთან.

მთელი წუხანდელი ღამე ფრენის მართვის ცენტრის დარბაზებში გავატარეთ. აშკარად ისმოდა ზუსტი საათნახევრიანი ციკლები. ყოველი 90 წუთის შემდეგ აქ ყველა მხოლოდ ეკიპაჟთან კავშირის სეანსებით ცხოვრობდა.

მორიგი ოპერატორის ტაბლოზე აინთო წარწერა: „ცხრამეტი გარშემოვლა. მოსკოვის დროით 21 საათი და 11 წუთია“. ეს ფრენის გადამწყვეტი გარშემოვლაა, ორი კოსმოსური აპარატის მიახლოების დასაწყისია. კოსმოსური სივრცის ერთ წერტილში ორი საფრენი აპარატის მიახლოების მათემატიკური ამოცანა ჯერ ზუსტად არის დამუშავებული.

სწორედ მათ გვიკარნახეს, როდის და სად უნდა ვიძებოთ შეხვედრის წერტილი ორბიტაზე, ესე იგი მინიმალური მანძილი ხომალდსა და სადგურს შორის. გვიკარნახეს არა მარტო შეხვედრის ადგილი, არამედ დროც, ერთ წამამდე სიზუსტით. კოსმოსში წამებთან ხუმრობა არ შეიძლება — „პარალელური კურსით“ მფრინავი ორივე აპარატის სიჩქარე 28 ათასამდე კილომეტრია საათში.

ზუსტად ბალისტიკოსების მიერ დანშნულ დროს დაიწყო მიახლოების სეანსი. ორბიტაზე წინა შეპირაპირებათა და ხომალდებისა და სადგურების მიერ განხორციელებულ ერთობლივ ექსპერიმენტთა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ჩვენი ბალისტიკოსები ასპიპერულად წყვეტენ ამ ამოცანას.

ასე მოხდა დღესაც. ხომალდის მიახლოება სადგურთან როგორც ყოველთვის დაიწყო თანდათანობით აჩქარებით. მიახლოების სიჩქარე გაიზარდა 12 მეტრამდე წამში. ხომალდის მეთაური პეტრე კლიმუკი დაწერილებით გვიამბობს ამ მდელვარე წუთების შესახებ. ეი, მიზნამდე სულ 1500 მეტრია რჩება. მცირეოდენი დამუხრუჭება! —ლოგიკურ საანგარიშო მოწყობილობას, მიახლოებას ავტომატური სისტემის მთავარ ტვინს მეტისმეტად დიდად მიანია ეს სიჩქარე. იგი გადამწოდთა კომანდით აჭრობს კუთხურ სიჩქარეებსაც, ესე იგი ხომალდის ბრუნვას.

21 საათსა და 21 წუთზე ეთერში გაისმა მეთაურის სიხარულით აღსავსე ხმა: „ვხედავ მას ძალიან კარგადაა განათებული „მზეზე“. სადგურამდე 800 მეტრია დარჩა, მაგრამ მზეც ოთხამ წუთში მეიფარება ჰორიზონტს. როგორც ბალისტიკოსები ვარაუდობდნენ, ფრენის ყველაზე პასუხსაგები მონენტი — შეპირაპირება მოხდება იმ დროს, როცა ხომალდი და სადგური დედამიწის ჩრდილში მოექცევიან.

ჩართეთ სასიგნალო შუქურები, — გაისმის კომანდა დედამიწიდან მეთაური რთავს სიძიებო პროჟექტორს — ფარას, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ვერ აღიღვევს კოსმოსურ წყვდიადს. როცა სადგურამდე ასი მეტრია რჩებოდა, ეკიპაჟმა ხელით მართვაზე გადასვლის ნებართვა ითხოვა. ითხმოცი, სამოცი, ორმოცი მეტრი — თანდათანობით (0,3 მეტრი წამში) მცირდება ეს მანძილი, და აი, როცა შეპირაპირებას მომენტამდე რამდენიმე წუთი რჩებოდა, „სოიუზ-18“ ხომალდი გასცდა რადიოჰორიზონტს და კავშირი ეკიპაჟთან შეწყდა.

სრულ სიბნელეში, როცა დედამიწასთან მოთათბირების არავითარი შესაძლებლობა არ ჰქონდათ, კოსმონავტებმა ორბიტაზე შექმნეს ახალი კოსმოსური ღუნტი „სოიუზ-18“-„სალუტ-4“. მხოლოდ 90 წუთის შემდეგ მომდევნო გარშემოვლის დროს შეეიტყვეთ დაწვრილებით, თუ რა მოხდა. — შეხება იყო რბილი, ოდნავ შესამჩნევი, არც ერთი გრამი სათბობი არ დახარჯულა „ბიძგის გამო დაშვებიდებს“ სატატო ოპერაციაზე, — გვითხრა ვიტალი სევასტიანოვმა.

შემდეგ კი, როცა ეკიპაჟმა შეამოწმა და სტაბილური გახადა „წნევა პირაპირაში, დედამიწამ კოსმონავტებს ნება დართო „გაანგარეთო მუშაობა“, ესე იგი შესულიყვნენ ორბიტულ სახლში.

„სალუტ-4“ ორბიტულ სამეცნიერო სადგურში მეორე ექსპედიციის პირველი სამუშაო დღე დაიწყო. კოსმონავტებმა უწინარეს ყოვლისა ჩართეს განათება და დაიწყეს სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემების შემოწმება, შეამოწმეს სამეცნიერო მოწყობილობა. ეკიპაჟს კვლევის დიდი პროგრამა ელის სადგურში.

ორშაბათს დილით, როცა „სოიუზ„-„სალუტ“ ორბიტული კომპლექსი დედამიწის პუნქტების ხილვადობის მიღმა დარჩა, ეკიპაჟს ძილის ნება დართეს. ზუსტად თოთხმეტ საათს იშრომეს დაუსვენებლად პეტრე კლიმუკმა და ვიტალი სევასტიანოვმა, სანამ, იტყოდნენ დიდი ხნის ნანატრ სიტყვებს: „გამარჯობა, „სალუტო“!

ნ. ჟელეზნოვი,
საკდესის სპეც. კორ.
ფრენის მართვის ცენტრი.

საბჭოთა კავშირის კოსმონავტი მფრინავები პ. ი. კლიმუკი და ვ. ი. სევასტიანოვი „სოიუზ-18“-ის სტარტის წინ.

26 მაისი

ამბები • ფაქტები



საკდესი და ეცხოეთის ჯრედის საგანგებო ოფიციალური

კონგრესი დამთავრდა

ჟენევა, (საკდესი). აქ დამთავრდა მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მე-7 კონგრესი. კონგრესის მონაწილეებმა განიხილეს მეტეოროლოგიისა საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები, იმსჯელეს, თუ როგორ სრულდება ამიხლის მსოფლიო სამსახურის გეგმა და მიიღეს ახალი გეგმა.

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის პრეზიდენტად კვლავ ერთხმად აირჩიეს ეგიპტის წარმომადგენელი დოქტორი მ. ფ. ტახა, ვიცე-პრეზიდენტად —სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსი, პროფესორი ა. ა. იზრაელი.

ოსლოფლიო ლაბორ

აშშ ჰ. კისინჯერის გამოსვლა

ვაშინგტონი, 26 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა აღნიშნა, რომ ახლა არის სამი მთავარი დარგი, რომლებშიც შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მონაწილეობით ხორციელდება საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი: სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, მოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ და მოლაპარაკება ევროპის უშიშროების საკითხებზე.

ჰ. კისინჯერი შეეხო საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, და აღნიშნა, რომ ვლადივოსტოკში სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. ფორდს შორის მიღწეულმა შეთანხმებამ გადაჭრა პრინციპული ხასიათის პრობლემათა უმრავლესობა, მაგრამ

პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში

ჯერ კიდევ დიად რჩება ძირითადი კონცეფციების განხორციელების ბევრი ტექნიკური საკითხი. თავისი ხასიათით ეს საკითხები უადრესად რთულია. მაგრამ, ჩემი აზრით, ხაზი გაუსვა სახელმწიფო მდივანმა, ჩვენ ვიღწევთ პროგრესს ამ საკითხების განმარტებასა და მხარეთა პოზიციების შორის განსხვავების შემცირებაში. მამაზინია, რომ ამ შეთანხმების დამთავრებას მომდინარე წელს კარგი შანსი აქვს.

უპასუხა რა კითხვებზე, ჰ. კისინჯერმა თქვა, რომ არის ახლო აღმოსავლეთის შესახებ ჟენევის საზავო კონფერენციის მოწვევის რეალური შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით სასარგებლო იქნებოდა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც მის თანათავმჯდომარეებს, განეხილათ, რა ნაბიჯების გადადგმა შეუძლიათ მათ ასეთი მოლაპარაკებისათვის რაც შეიძლება ხელშემწყობი ატმოსფეროს შესაქმნელად და საუკეთესო შედეგების უზრუნველსაყოფად. ამ სულისკვეთებით მოვაწყვეთ ჩვენ აზრთა წინასწარი გაზიარება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან ა. ა. გრომიკოსთან.

ჰ. კისინჯერი შეეხო აგრეთვე მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც ეხება ჯ. ფორდის დასავლეთ ევროპაში გამგზავრებას ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მომავალ სესიასთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ პრეზიდენტი აპირებს დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელმძღვანელებთან ერთად განიხილოს საკითხები, თუ რამდენად შეესაბამება ნატოს სამხედრო სტრუქტურა ახლანდელ საერთაშორისო ვითარებას. ცხადია, თქვა ჰ. კისინჯერმა, რომ ინდოჩინეთის ამბების შემდეგ წარმოიშვა დაბაკვიული კითხვები იმის შესახებ, თუ როგორი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების რეაგირება თავის წარუმატებლობაზე და რა გავლენას მოახდენს ეს ნატოსშიდა ურთიერთობაზე. პრეზიდენტ ჯ. ფორდს სურს აღვილად ეს შესაძლებლობა გამოიყენოს ატლანტიკურ ევროპის ქვეყნებთან და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხთა განსახილველად.

ნოემერი პირველი პრობლემა

ვაშინგტონი, 26 მაისი. (საკდესი). შეერთებული შტატების ნომერი პირველი პრობლემა უწოდა ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ბერნსმა ეკონომიკის დიდ დაქვეითებას ქვეყანაში.

სატელევიზიო ინტერვიუში ა. ბერნსმა ხაზი გაუსვა, რომ დაქვეითების პრობლემასთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე დგას ინფლაციის არანაკლებ მწვავე პრობლემა. რადგან მთ წინააღმდეგ ბრძოლა ურთიერთგამომრიცხველ საშუალებებს მოითხოვს, აღნიშნა მან, ეცდება ბერ ბანკირებ ინფლაციის ინფლაციის ინფლაციის

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲔᲣᲡᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲦᲚᲣᲛᲘ

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲗᲐᲒᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ მუსიკალური გაზაფხულის საზეიმო გახსნაში საბჭოთა რესპუბლიკა — აზერბაიჯანი, საქართველო მონაწილეობდა... ეს იყო მუსიკის დიდი აღლუმი, მოძმე ხალხების მტკიცე მეგობრობისა და შემოქმედებითი ურთიერთგაგების ბრწყინვალე დემონსტრაცია.

საზეიმო, ამაღლებული განწყობილება კონცერტის დაწყებამდეც შეიგრძნობოდა. ძნელია სიტყვებით გადმოსცე ის არაჩვეულებრივი, განუმეორებელი ატმოსფერო, რომელიც სუფევდა ხაენინერგო დარბაზის შესასვლელთან. ფოიეებში, დერეფნებში, ფოიერში, ქართველი და აზერბაიჯანელი კომპოზიტორები, მუსიკოს-შემსრულებლები, მუსიკათმცოდნეები ძველი მეგობრებივით ეგებებოდნენ ერთმანეთს, ისმოდა გულთბილი შეძახილები. გაცცოველებული საუბარი, მხიარული სიცილი. — ეს იყო არა პარტო კოლეგების, მეგობრების, არამედ თანამოაზრეთა, ერთსულოვან შემოქმედთა ნამდვილი ზეიმი.

დიდი საკონცერტო დარბაზის სცენას ჩვენი ხალხის უმაჯალითო გმირობის სიმბოლო —ვამარჯვების ორდენის ემბლემა ამშვენებს. ეს შემთხვევითი როდია. წლევანდელი ფესტივალი ხომ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30-ე წლისთვის ნიშნით მიმდინარეობს. სცენა ჩაფლულია ყვავილებში, თაიგულთა ნაირფეროვნებაში თითქოს ჩაქსოვილია ის დიდი სითბო და სიყვარული, დარბაზში მყოფთა გულს რომ ავსებს.

ფესტივალის თემატიკა მისი პირველი კონცერტის სამივე განყოფილების პროგრამაში აისახა. შესრულდა აზერბაიჯანელ, სომეხ და ქართველ კომპოზიტორთა უმაჯალოდ დიდი სამამულო ომის წლებში შექმნილი და ამ მარად უფრიტი თემისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები.

კონცერტის პირველი განყოფილება აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მიეძღვნა. აკადერდა კარა კარაევის, ნიაზის, ს. რუსტამოვის, ი. მამედოვის, რ. მუსტაფაევის მუსიკა. ჩვენ მოვუსმინეთ აზერბაიჯანის სახელმწიფო დამსახურებულ სიმფონიურ ორკესტრს. სახელმწიფო კაპელას, ტელევიზიისა და რადიოს გუნდს. სოლისტებს მ. ბაღიროვსა და კ. აზიმოვს, ენახეთ დირიჟორები ი. ალიევი და რ. მელიქ-ასლანოვი.

საერთო ამაღლებულ განწყობილებას, რომელიც ამ საღამოს სუფევდა დარბაზში, ტონი მისცა გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის კარა კარაევის დიდებულმა „მეგობრობის ჰიმნმა“ (სიტყვები ეკუთვნის აზერბაიჯანელ პოეტს რასულ რზას). ამ ნაწარმოების ნათელმა კოლორიტმა გაჯერებულმა ხმოვანებამ და დიდმა ზეკაელენის ძალამ განაპირობა მისი წარმატება. აღსანიშნავია, რომ კომპოზიტორი აქ უხვად იყენებს აზერბაიჯანულ ხალხურ ინტონაციებს, რასაც განსაკუთრებით უსვამს ხაზს პარტიტურაში ხალხური ინსტრუმენტების — თარისა და ნაღარის ჩართვა.

ასევე მხნედ, ენერგიულად აკადერდა იბრაკიმ მამედოვის საზეიმო უვერტურა. მსმენელის წინაშე გადაიშალა სახალხო ზეიმის ფერადოვანი სურათი. დიდი სამამულო ომის თემა ბისახა სეიდ რუხტამოვის სიმღერაში „ფრონტისკენ“ და ნიაზის „ოთხსამეთქვსმეტი ტაკანროვის დივიზიის მარში“. ეს ნაწარმოებები აგებულია სპრძოლო ხიმღერებისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ რიტმებსა და ინტონაციებზე.

განყოფილების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო კომპოზიტორ რამინ მუსტაფაევის ორატორიას „ოქტომბერი“. რომელსაც საფუძვლად უდევს ნაწყვეტები რასულ რზას პოემიდან „ლენინი“. ორატორია ხუთნაწილიანია.

თვითეული ნაწილი განსხვავდება ერთმანეთისაგან განწყობილებითაც და ინტონაციურადაც. მასში შეკიგრძენთ ვატაკაცური, მკაცრი ლირიკაც და ხალხური მელოდიის მიმზიდველობაც, ბრძოლის პათოსი და გამარჯვებით გამოწვეული სიხარული. კარგი შთაბეჭდილება დატოვა სოლისტმა ჯემალ აზიმოვმა, მისი ხასიათოვნო ტემბრის ტენორი კარგად ეფერდა როგორც სასიმღერო, ასევე დეკლამაციური ხასიათის ეპიზოდებშიც.

კონცერტის მეორე განყოფილება მასპინძლებს დაეთმო. შესრულდა ქართული საბჭოთა სიმფონიური მუსიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში — ანდრია ბალანჩივაძის პირველი სიმფონია. ეს ნაწარმოები შექმნილია 1944 წელს და სრულად ასახავს საბჭოთა ხალხის დიდ სულიერ სიმტკიცეს, ომის განსაცდელს ზაზს პარტიტურაში ხალხური ინსტრუმენტების — თარისა და ნაღარის ჩართვა.

ასევე მხნედ, ენერგიულად აკადერდა იბრაკიმ მამედოვის საზეიმო უვერტურა. მსმენელის წინაშე გადაიშალა სახალხო ზეიმის ფერადოვანი სურათი. დიდი სამამულო ომის თემა ბისახა სეიდ რუხტამოვის სიმღერაში „ფრონტისკენ“ და ნიაზის „ოთხსამეთქვსმეტი ტაკანროვის დივიზიის მარში“. ეს ნაწარმოებები აგებულია საბრძოლო ხიმღერებისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ რიტმებსა და ინტონაციებზე.

მე მიყვარს თბილისი, მისი ძველი უბნები და ვიწრო ქუჩები. მე მოიცვა ახალშენებლობათა სიდიდე. და აქ როგორც კეთილ მეზობლებთან, ისე ჩამოვდიოდარ. მუდამ გული მწყდება, რომ ეს შეხვედრები შედარებით ხანმოკლეა ხოლმე. ფესტივალის შესახებ დღეს არაფერს ვიტყვი იმის გამო, რომ თავისთავად ცხადია მისი დიდი მნიშვნელობა და კეთილი გავლენა.

ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲝᲠᲐᲫᲔ,
საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ᲤᲚᲔᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡᲐ მაისმა. ფერთა სიუხვესთან ერთად ბევრი სასახარულო განცდა ელოდა. უწინარეს ყოვლისა ეს არის დიადი გამარჯვების ოცდამეათე წლისთავი, როგორც გამოძახილსაც წარმოადგენს ფესტივალი „ამერიკაკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“.

სამი რესპუბლიკის წარმომადგენელთა აზე დიდი შეიტრება თავისთავად მეტყველებს ამაზე, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებრიობა ამ ფორუმს. ზეიმზე საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქიდან და უცხოეთიდან მრავალი სტუმარი ჩამოვიდა, რაც ფესტივალის როგორც შემოქმედებითი დათვალიერების ღირსებას ამაღლებს. დღეს კომპოზიტორთა ნაწარმოებების მხატვრულ-იდეური დონე, პროფესიული დაოსტატება ისევ სულ სხვა საზომებს მოითხოვს: ბევრად უფრო რთულს, ვიდრე ცოტა ხნის წინათ.

დიდად მოხარული ვარ, რომ ფესტივალზე შესრულდება ჩემი ნაწარმოები — მეორე სიმფონია „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“...

ფესტივალის მონაწილეებს ეუსურვებ შემოქმედებითს მიღწევებს. ხოლო მუსიკის მოყვარულთ ახალ მკაფიო ნაწარმოებებთან შეხვედრის სიხარულს.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔ

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲐᲤᲘᲨᲐ

ᲓᲦᲔᲡ, ოცდაშვიდ მაისს, საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სიმფონიური მუსიკის კონცერტის პროგრამაშია **გ. ᲔᲠᲘᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡ** სიუიტა ბალეტიდან „შვენიერი ანა“, **ლ. ᲑᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ** კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, **Თ. ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ** საორკესტრო მუსიკა, **Ა. ᲐᲠᲣᲗᲘᲜᲘᲐᲜᲘᲡ** რაფსოდია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის „ჩვენი ძველი სიმღერები“, **Ე. ᲝᲜᲐᲜᲘᲡᲘᲐᲜᲘᲡ** კანტატა „ერებუნი“; შემსრულებლები: სომხეთის სსრ სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი (მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი **Დ. ᲑᲐᲜᲭᲘᲐᲜᲘ**), სომხეთის სსრ საგუნდო საზოგადოების გუნდი (სამხატვრო ხელმძღვანელი — რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **Ე. ᲪᲔᲜᲝᲕᲘᲩᲘᲐᲜᲘ**), სოლისტები: სსრკ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **Ა. ᲐᲠᲣᲗᲘᲜᲘᲐᲜᲘ**, საერთაშორისო პრემიების ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **რ. ᲐᲒᲐᲠᲝᲜᲘᲐᲜᲘ**.

მკირე დარბაზში გაიმართება სომხური კამერული მუსიკის კონცერტი. რომლის პროგრამაშია **Გ. ᲩᲘᲒᲝᲩᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ** ექვსი სათორტრეპიანო პიესა „პოლიფონიური ალბომიდან“. **Მ. ᲨᲐᲠᲗᲐᲨᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ** „შექსპირის ორი სონეტი“. **რ. ᲚᲐᲠᲩᲘᲜᲘᲐᲜᲘᲡ** ოთხი ელეგია ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის. **Ი. ᲐᲠᲣᲗᲘᲜᲘᲐᲜᲘᲡ** „მწუხრის სამი სიმღერა“. **რ. ᲐᲛᲘᲠᲯᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡ** სიმებიანი კვარტეტი. **Ე. ᲨᲘᲠᲖᲝᲘᲐᲜᲘᲡ** სონატა ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის. **Ი. ᲙᲐᲖᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ** პოემა „თოვლები“. **Ჯ. ᲩᲘᲠ-ᲗᲐᲗᲘᲔᲕᲝᲡᲘᲐᲜᲘᲡ** მეორე სიმებიანი კვარტეტი. შემსრულებლები: **Ე. ᲑᲐᲘᲐᲨᲘᲠᲗᲘᲐᲜᲘᲡ**, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **Თ. ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲘᲐᲜᲘ**, ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი **Ფ. ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲐᲜᲘ**, **Ა. ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲘ**, **Გ. ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲘᲐᲜᲘ**, **Თ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲐᲜᲘ**, **Გ. ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲐᲜᲘ**. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები **Ლ. ᲗᲐᲛᲘᲙᲝᲜᲘᲐᲜᲘ**, **Მ. ᲔᲠᲘᲜᲘᲐᲜᲘ**, **Ი. ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲘ**, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **Მ. ᲐᲑᲠᲐᲰᲐᲛᲘᲐᲜᲘ**, **Ლ. ᲓᲐᲕᲗᲘᲐᲜᲘ**, **Დ. ᲡᲕᲐᲚᲘᲜᲘ**.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲝᲗᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲐ

ᲫᲕᲔᲚᲘ ქართული კულტურის უმდიდრეს მემკვიდრეობაში ხუროთმოძღვრებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი ეროვნული ხელოვნების ის დარგია, რომელშიც ქართველმა ხალხმა უმაღლეს მხატვრულ ოსტატობას მიაღწია და მსოფლიოს ხელოვნების საგანძური ბევრი პირველხარისხოვანი ძეგლით თუ ნაწარმოებით გაამდიდრა.

„საქართველოს მიწა-წყალზე მკონი არ მოიძებნება არცერთი ეპოქა, არცერთი ხეობა და სოფელი, რომ წარსულის რაიმე ნაშთი არ იყოს დარჩენილი — ან ძველი ეკლესია ან სამრეკლო, ან ციხის ნანგრევი, ან სოფლისა ან ქალაქის ნაგებობა“, — ამ სიტყვებით იწყება ძველი ქართული არქიტექტურის ენციკლოპედიის ავტორ ვახტანგ ბერიძის დიდი მონოგრაფიული ნაშრომი „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“ (გამომცემლობა „ხელოვნება“; საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. რედაქტორები — დ. ჩუბინაშვილი, გ. ჩიქოვანი. მხატვარი — ი. უთურგაშვილი).

წიგნის პირველი 80 გვერდი ეთმობა გამოკვლევას, რომელშიც დიდი მეცნიერული სიღრმით არის შესწავლილი და განხილული ქართული ხუროთმოძღვრების თანმიმდევრული ისტორია უძველესი და ანტიკური პერიოდიდან მე-19 საუკუნის ოცდაექვსედ. 81-196 გვერდები — ცალკეული ძეგლების ანოტაციები, ნახაზებს, სქემებს, ეგეგმარებს უჭირავს.

წიგნის მეორე ნაწილში დაბეჭდილია ილუსტრაციები — ძეგლების საერთო ხედები, ფასადები სხვადასხვა მხრიდან და დეტალები. გამოკვლევის ტექსტში ჩართულია 172, ხოლო ცალკე დაბეჭდილია 348 ილუსტრაცია.

ვახტანგ ბერიძის „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“ საუკეთო საჩუქარი ყველასათვის.

ლ. კიკნაძე.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ ᲬᲕᲘᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲮᲣᲚᲘ

ᲗᲘᲗᲘᲗᲕᲘᲡ ყოველდღე წვიმს. ჰეჭა-ქუხილი და წვიმა გაზაფხულისათვის, მით უმეტეს მოისასათვის, ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ყოველდღე წვიმა ითმენილად მოსაბეზრებელია. საინტერესოა წლევანდელი მაისი ამ მხრივ გამონაკლისს ხომ არ წარმოადგენს და რით ხსნიან სინოპტიკოსები ამ მოვლენას.

აი ამის შესახებ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს რა უპასუხა თბილისის ამინდის ბიუროს უფროსმა ინჟინერ-სინოპტიკოსმა ნ. ძამაშვილმა:

— წვიმიანი და ელჭექიანი დღეები, რომელსაც თან ახლავს სეტყვა, მრავალწლიური კლიმატური მონაცემების მიხედვით ყოველთვის მოდის ან მაისში ან ივნისში. წლევანდელი მაისი ამ მხრივ რეკორდული გამოდგა. თუ გადავხედავთ უკანასკნელი ოთხი წლის მონაცემებს, ვნახავთ, რომ 1972 წელს მაისში 25 დღე იყო წვიმიანი, 1973 წელს 17, მარტან 23.

წლიურს წვიმასა და ელჭექთან ერთად სეტყვაც მოდის. სეტყვა არაერთხელ მოვიდა გურჯაანში, ხიდისანში, ბაკურიანში, დუშეთში, თბილისში, კასპში, ხაშურში სეტყვისაგან განსაკუთრებით გურჯაანის ადგილი დაზარალდა.

რამ განაპირობა ასეთი ამინდი? ამიერკავკასიაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაბატონდა ციკლონური ველი, რომელიც დიდ სიმაღლეზე ვრცელდება. მასთან დაკავშირებული ფრონტალური ზედაპირი მდებარეობს სამხრეთით, მცირე აზიის ტერიტორიაზე, აქ ადგილი აქვს ტალღურ აღრევებს, ის კი დროდადრო ინაცვლებს საქართველოს ტერიტორიაზე, რაც ამინდის მერყეობას იწვევს.

დღეს დასავლეთ საქართველოს ხანაპირო რაიონებში იქნება მცირე წვიმა და ელჭექი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 20-25, მთაში 17-22 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში „ალგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, მტკვრის ხეობაში ქარი, ტემპერატურა ბარში 23-28, მთაში 17-22 გრადუსი სითბო, თბილისში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, ტემპერატურა 26-28 გრადუსი სითბო.

მომდევნო ორ დღეს საქართველოს ზოგიერთ ტერიტორიაზე კვლავ წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი, ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ბარში ღამით 11-16, დღისით 22-27, მთაში ღამით 7-12, დღისით 19-24, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ღამით 11-16, დღისით 22-27, მთაში ღამით 6-11, დღისით 16-21 გრადუსი სითბო.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲜᲘ“ № 5

ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲘᲓᲐ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ეურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი, მეხუთე ნომერი.

ᲙᲐᲤᲐᲜᲒᲨᲘ ᲒᲐᲔᲑᲐ

ᲮᲔᲚᲐᲜᲐᲣᲠᲘ. (სპეც. კორ.). კრნაოელმა კოლმეურნემ ნათელა შუშანიძემ მსუნაგი მელა მახეში გაბა, ცოცხლად შეიპყრო და ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკს გადასცა. პარკის ხოლოდ ვიერ კუთხეს შეემატა ახალი ბინადარი.

Მ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲗ — „ᲕᲝᲚᲒᲐ“

ᲡᲘᲦᲚᲐᲚᲘ, 22 მაისი. (საქინფორმის კორ.). სოფელ ქვემო მაღაროს მკვიდრმა შ. ქადაგიშვილმა სიღლალის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ ფულსახა და ნიეთების ლატარიის მეოთხე გამოშვების ბილეთი (ბილეთის № 155, სერიის ნომერი 47163), რომელსაც წილად ხვდა დიდი მოგება — „გაზ-24“ მარკის მსუბუქი ავტომობილი „ვოლგა“.

ᲬᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲡᲐᲠᲢᲙᲐᲪᲘᲐᲓᲐ

ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲛᲔᲮᲢᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ

კვირას ნამდვილი სპორტული ზეიმი იყო დუშანბეში. აქ საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ფინალური ტურნირი წყალში ხტომაში. ტაჯიკეთის დედაქალაქის სტუმარია 12 მოკავშირე რესპუბლიკის, ავრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ასამდე წარმომადგენელი.

ბოლო წლებში, კერძოდ მესუთედან მეექვსე სპარტაკიადამდე ჩვენს ქვეყანაში გაიზარდა ეს სახეობა. სპორტსმენთა ოსტატობა. იგი უფრო მიმზიდველი და მასობრივი გახდა. ამატომაც ყოველწლიურად ჩემპიონატებსა თუ სხვადასხვა ტურნირებში საბჭოთა წყალში ხტომელები ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ.

შეჯიბრების მონაწილეთა შორის ვხედავთ საქართველოს წარმომადგენლებსაც. ესენი არიან ხ. ნიკოლოფოვა, ლ. ფირალიშვილი, ხ. შალიბაშვილი, ა. სალდატოვი, გ. იატრიშნიკოვი, ხ. ვართანოვი.

თუ ადრე, თითქმის ყოველთვის, პირველობის ყველაზე რეალურ პრეტენდენტებად მოსკოველები ითვლებოდნენ, ახლა უმაღლესი ტიტულისათვის ბრძოლის თანაბარი შანსები აქვთ რსფსრ-ს, ბელორუსიის, უკრაინის, ყაზახეთის, სომხეთის გუნდებს, და რა თქმა უნდა, მოსკოველებსაც.

გარდა სპარტაკიადის ოქრის, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისა, სპორტსმენებისათვის, რომლებიც ფორმატებით გამოვლენ წყალში მხტომელთა ამ ფორუმზე, დაწესებულია სხვადასხვა ჯილდოები.

პირველი დღეს სტარტზე გამოვიდნენ სამშტრიანი ტრამპლინიდან მხტომელი ქალები. ამ შეჯიბრებას უნდა დაესასრულებინა ნახევარფინალისტები, რომლებიც შემდგომ ეტაპზე გაითამაშებენ სპრინტი ადგილებს.

პირველი ჩემპიონები დღეს გამოვლინდება.

ᲒᲣᲦᲐᲣᲗᲘᲡ ᲤᲘᲪᲐᲠᲜᲐᲒᲖᲔ

ᲒᲣᲦᲐᲣᲗᲘᲡᲨᲘ დამთავრდა საქართველოს VI სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება ძალოსნობაში. კვირას შედგა უკანასკნელი შეხვედრები. სასაბარულოა, რომ ამ ტურნირზე განსაზღვრულ იქნა რესპუბლიკის 7 რეკორდი.

გუნდურ ასპარეზობაში წარმატება თბილისელებს ხვდათ. მომდევნო ორი საპრიზო ადგილი თანმიმდევრულად დაიკავეს ფაზაზეთისა და ქუთაისის გუნდებმა.

აი პირად შეჯიბრებაში გამარჯვებულები, საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონები: უმჩატეს წონაში — ს. თათვეოსიანი (თბილისი), მჩატე წონაში — გ. სითოფაშვილი (თბილისი), ქვემსუბუქ წონაში — ა. ოსანაძე (აჭარა), მსუბუქ წონაში — ვ. ზასაობოვი (სამხრეთ ოსეთი), ქვესაშუალო წონაში — ა. ლობჟანიძე (აჭარა), საშუალო წონაში — დ. გაბაძე (ქუთაისი), პირველ ქვემძიმე წონაში — ო. დემუროვი (რუსთავი). მეორე ქვემძიმე წონაში — რ. ტარეილი (ფაზაზეთი), პირველ მძიმე წონაში — ი. კაკაურიძე (თბილისი). მეორე მძიმე წონაში — დ. ხიზანბარელი (თბილისი).

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საბელმოხვეჭილ ძალოსანს დ. შანიძეს ტურნირში მონაწილეობა არ მიუღია.

საქართველოს ნაკრები შეკრებას გიორგის ობელისკთან